



**საქართველო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

N 27 13

10/06/2020

**„ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რებილიტაციის პროექტის მოწონების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას „ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი (დანართი თან ერთვის).
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ (ალ. გოგორიშვილი) უზრუნველყოს საგრანტო პროექტის მომზადება და წარდგენა არსებული წესით.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

